სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას თორმეტი ოც აპრილს მე ნოტარიუსს **ქეთევან ძლიერიშვილს**, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №6, მომმართეს:**ვლადიმერ ფილიშვილმა და ზურაბ გილაურმა.** მათ განაცხადა, რომ არიან **შპს „ყავის სახლი-ქენინგჰოლი“-ს** დირექტორები (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „ ყავის სახლი-ქენინგჰოლი“-ს შესახებ მომზადებული 05/04/2012 12:18:39 საიდენტიფიკაციო კოდი №201949767) და გამოხატეს ნება შეადგინონ მინდობილობა და დაამოწმონ იგი სანოტარო წესით. მე შევამოწმე **ვლადიმერ ფილიშვილის და ზურაბ გილაურის** პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ვლადიმერ ფილიშვილმა** (დაბ. 06.04.1948წ, თბილისი, მცხ.თბილისი ასთიანის ქ. №10ა, პირადობის მოწმობა №ა 0774224, პირადი №65002000208 გაცემული. 21.09.2005წ თბილისის საბურთალოს საპასპორტო, მრ და სარ. სამსახურის. მიერ) და **ზურაბ გილაურმა** (დაბ. 17.03.1946წ, თბილისი, მცხ.თბილისი გ.ქუჩიშვილის ქ. N 12/14/16 ბ. 15ა, პირადობის მოწმობა №11IA03049, პირადი №01024005564 გაცემული. 16.08.2011წ იუსტიციის სამინისტროს. მიერ) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელის ტექსტიც მოიწონა **ვლადიმერ ფილიშვილმა და ზურაბ გილაურმა** და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას თორმეტი წლის ოც აპრილს, ჩვენ, ვლადიმერ ფილიშვილი და ზურაბ გილაური. ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევთ **ვლადიმერ დემეტრაძეს** (დაბადებული 02.07.1952წ. რუსთავში, მცხოვრები, თბილისი შ. ნუცუბიძის ფერდ. ე-3 მკრ. 1 კვ. კორ. №15 ბ. №53, პირადობის მოწმობა №დ 1132924, პირადი №01010006142 გაცემული 11.02.2008წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის. მიერ) იყოს ჩემი წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიაში, რათა ჩემი სახელით აწარმოოს საქმეები, **შეათანხმოს პროექტი, გამოითხოვოს,** მიიღოს და წარადგინოს ინფორმაცია, დოკუმენტაცია და საჭირო ცნობები, ჩემი სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები, მიიღოს გადაწყვეტილებები, **შეასრულოს ყველა საჭირო პროცედურა, რაც საჭირო გახდება ჩემი ინტერესების დასაცავად და საქმის საწარმოებლად,** გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი და მოსაკრებელი ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება ამ დავალების შესასრულებლად.

ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო არქივში.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: ათი (10) ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ ერთი (1) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოთაღნიშნული მთავრობის დადგენილებისა 39-ე მუხლისა. სულ გადახდილია ცამეტი (13) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი.

შპს „ყავის სახლი-ქენინგჰოლი“-ს დირექტორი **ვლადიმერ ფილიშვილი**

_____

შპს „ყავის სახლი-ქენინგჰოლი“-ს დირექტორი **ზურაბ გილაური**

_____

ნოტარიუსი: **ქეთევან ძლიერიშვილი**